

F 171
1978

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



განათლება და ინსტრუქციათა
კრებები

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 1—2

იანვარი — ЯНВАРЬ

თებერვალი — ФЕВРАЛЬ

F 4523

თბილისი — ТБИЛИСИ

1978

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექნიკური ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 23/11-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/V-78 წ.
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 8,8;
შეკვ. № 167 უე 04054 ტირაჟი 5000

აღმზრდელია მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური
ცენტრის სტამბა, ნუცუბიდის ქ. № 7.
Типография Республиканского научно-методического центра
воспитательной работы, ул. Нуцубидзе № 7.

საქართველოს სსრ
განათლების საინისჯროს
1978 წლის 13 იანვრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 32



**ადიგენის რაიონის საღამოსა და დაუსწრებელი სკო-
ლებისადმი ხელმძღვანელობის მდგომარეობის შესახებ**

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ცნობი-
დან ირკვევა, რომ ადიგენის რაიონის სახალხო განათლების განყო-
ფილებას ერთგვარი მუშაობა აქვს გაწეული მომუშავე ახალგაზ-
რდობის სწავლების გასაუმჯობესებლად. 1976 წელს გაიხსნა და
ნორმალურად მუშაობს ადიგენის რაიონული დაუსწრებელი სა-
შუალო სკოლა 353 მოსწავლით.

ამასთან ერთად, შემოწმებამ სოფელ უდეს საღამოს საშუალო
სკოლაში გამოავლინა თვალის ახვევის, მოსწავლეთა მიღების წე-
სების დარღვევის, კლასების შეუფასებლობის, მეცადინეობის ჩაშ-
ლისა და მუშაობაში უკონტროლობის ფაქტები.

რაიონში არაღამაკმაყოფილებლად ჩატარდა დათვალიერება
დევიზით — „ყველა ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათ-
ლება“.

სკოლაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გა-
მოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. მოსწავლეთა მიღების წესების დარღვევის, თვალის ახვე-
ვის, შინასასკოლო კონტროლის უგულებელყოფისა და სასწავლო
პროცესის არაღამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისათვის უდეს სა-
ღამოს საშუალო სკოლის დირექტორი ა. კაჭკაჭიშვილი და დირექ-
ტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დარგში
ი. გიგოლაშვილი განათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობი-
დან.

2. ადიგენის რაიონის სახალხო განათლების სასკოლო ინსპექ-

რესპუბლიკის საღამოს, დასწრებულ და დასწრებულ-დაუსწრებელ საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისანოს კონკრეტული ღონისძიებანი ანალოგიურ ნაკლოვანებათა სალიკვირ-დაციოდ.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის დაწესება დაევალოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. გუჯეჯიანი).

მინისტრი

მ. ჟინვალაძე



ადიგენის რაიონის საღამოსა და დაუსწრებელი
საშუალო სკოლების მუშაობის შესახებ

ისევე, როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონებში ადიგენშიც გატარდა გარკვეული ღონისძიებები მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გასაუმჯობესებლად. 1976 წელს ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ბაზაზე შეიქმნა რაიონული საშუალო სკოლა, სადაც მიმდინარე სასწავლო წელს 353 მოსწავლე სწავლობს. ამ სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში, რომელთაც დღის სკოლების დირექტორები ხელმძღვანელობენ, ნორმალურად მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა. სრულდება სკოლის დებულების მოთხოვნები და განათლების სამინისტროს მითითებები, წესრიგშია სასკოლო დოკუმენტაცია.

განათლების სამინისტროს განზრახული ჰქონდა იმავე წელს ადიგენის დაუსწრებელ სკოლასთან გაერთიანებულყო სოფელ უდეს საღამოს სკოლაც, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობის მოთხოვნით იგი დატოვებული იქნა დამოუკიდებლად.

შემოწმებამ ამ სკოლის მუშაობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები გამოავლინა. სკოლის ხელმძღვანელობას (დირექტორი ა. კაჭკაჭიშვილი, მოადგილე ი. გიგოლაშვილი) სათანადო დასკვნები არ გაუყეთებიათ მომუშავე ახალგაზრდების საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილებიდან, რესპუბლიკის მასწავლებელთა IV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებიდან; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებიდან და მითითებებიდან.

სკოლაში აშკარად იგრძნობა მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდისა და ამ გზით თვალის ახვევის ტენდენცია. ადგილი აქვს არსებული წესის უხეში დარღვევით, განათლების შესახებ სათანადო საბუთების გარეშე, ფორმალურად მოწყობილი გამოცდების საფუძველზე სკოლაში არასათანადო განათლების მქონე მოქალაქეთა ჩარიცხვას. გარდა ამისა, მიმდინარე სასწავლო



წლის დასაწყისში, ყოველგვარი განცხადების გარეშე, ჩარეცხეს 2-4 წლის წინათ სკოლიდან გასული 52 მოსწავლე, რომელთაგან 35 საერთოდ არ გამოცხადებულა მეცადინეობებზე. 76 მეორე-წლიან მოსწავლიდან სკოლაში არ დადის 44. გარდა ამისა სასწავლო წლის დასაწყისიდან სკოლიდან ვავიდა 15 მოსწავლე.

ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებით და მიზეზებით ხელოვნურად გაზრდილია სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი და კლასების რაოდენობა. გახსნილია 15 კლასი 317 მოსწავლეზე, ფაქტიურად კი დღეისათვის მოსწავლეთა რიცხვი 218-ს არ აღემატება. ცხადია, ეს იწვევს სახელმწიფო სახსრების ფუჭად, უკანონოდ ხარჯვას.

სკოლაში ძალზე დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლის დირექციის მიერ არ ხორციელდება კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი, სრულიად მივიწყებულია მეთოდური მუშაობა, სუსტად მუშაობს პედაგოგიური საბჭო. სრულ უმოქმედობას იჩენს სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ი. გიგოლაშვილი. სკოლა სათანადოდ ვერ იყენებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებას და მხარდაჭერას, საჭირო კონტაქტებს ვერ ამყარებს კოლმეურნეობებთან.

ყოველივე ამის გამო სკოლაში მოშლილია დისციპლინა. ადგილი აქვს მეცადინეობების ჩაშლის შემთხვევებს, როგორც მოსწავლეთა, ასევე ზოგჯერ მასწავლებლების გამოუცხადებლობის გამო. არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის ბევრი შემთხვევა აქვთ მასწავლებლებს ც. ტატალაშვილს, პ. მაქანარაშვილს, ო. თათენაშვილს, ე. სარიშვილს და სხვებს. შემოწმების დროს, 1977 წლის 20 დეკემბერს, 9 კლასში მხოლოდ 37 მოსწავლე ესწრებოდა გაკვეთილებს, ხოლო 6 კლასში არ ჩატარდა მეცადინეობა, ვინაიდან მოსწავლეები არ ესწრებოდნენ.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ განათლების განყოფილება სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევს სკოლას. განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ს. მერაბიშვილი და მეოდთკაბინეტის მეთოდისტები ი. ბალახაშვილი, პ. მაქანარაშვილი ამ სკოლაში მასწავლებლებად მუშაობენ და მათ თვალწინ ხდება ეს დარღვევები.



არადამაკმაყოფილებლად ტარდება რაიონში დათვალიერება დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“ განათლების განყოფილებამ 1977 წლის დეკემბერში სამინისტროში წასახალისებლად წარმოადგინა ისეთი კანდიდატურები, რომლებიც ამას არ იმსახურებენ.

საჭიროდ მიგვაჩნია სკოლის რეორგანიზაცია და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება. ამასთან, განათლების სამინისტროს ბრძანებით აღნიშნული სკოლის მუშაობის შესახებ საკითხის განხილვა რესპუბლიკის სალამოს და დაუსწრებელ სკოლებში.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების I რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის შედეგებისა და II რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ

1977 წლის 24 ნოემბერს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ჩატარდა ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების I რესპუბლიკური გამოფენა — კონკურსი დევიზით „მოწინავეთა გამოცდილება ყველას!“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 27 ქალაქისა და რაიონის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა 105 ნამუშევარი (ფერადი ტაბულები, სხვადასხვა სახის მოდელები, არქიტექტურული ორნამენტები, სადემონსტრაციო ნახაზები და სხვ.). გარდა თვალსაჩინოებისა წარმოდგენილი იყო 6 სხვადასხვა სახის მეთოდური ხასიათის მოხსენება.

გამოფენა-კონკურსის წარმატება განაპირობა მთელი რიგი განათლების განყოფილებების დროულმა გამოხმაურებამ ამ ღონისძიებისადმი. კერძოდ, გორის, სოხუმის, რუსთავის საქალაქო და გორის, ასპინძის, აბაშის, ქობულეთის, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, გავრის, წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებათა ყურადღებიანმა დამოკიდებულებამ საქმისადმი, მაგრამ იგივე არ იქმის მახარაძის, ცხაკაიას, ხობის, ცაგერის, მესტიის, ლენტეხის, ონის, ყაზბეგის ტყიბულის, სოხუმის, ქალაქ თბილისის საქარხნო, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონების სახალხო განათლების დარგის მუშაკებზე, სადაც, როგორც ეტყობა, ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ ხაზვის სწავლებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების I რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი სკოლების და კონკურსში მონაწილე პედაგოგების დაჯილდოვების შესახებ (იხ. დანართი № 1).

2. 1978 წლის 22 დეკემბერს ჩატარდეს ხაზვის მასწავლებელ-



თა ნამუშევრების II რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი დეკემბერში „მოწინავეთა გამოცდილება ყველას“.

საზეიმო შეკრება და თათბირ-სემინარი მოეწყო 23 დეკემბერს ქ. თბილისში (მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტში).

3. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის ეიური და სარედქციო საბჭო (იხ. დანართი № 2).

4. დამტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის მიერ წმოდგენილი დებულება ხაზვის მასწავლებელთა II რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ (იხ. დანართი № 3).

5. ეთხოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტს და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს:

ა) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტს ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსის ჩატარებაში.

6. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ფართოდ ჩააბან მასწავლებლები გამოფენა-კონკურსში.

7. მომხარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) 1978 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქალაქი დებულებისა და სიგელების დასაბეჭდად.

8. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნონ მასალები გამოფენა-კონკურსის მიმდინარეობისა და ჩატარების შესახებ.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძე) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

მინისტრი


მ. ჭინჭლაძე

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს I ხარისხის დიპლომით:

1. არველაძე ლ. ა. — რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა
2. ბენიაშვილი ნ. ი. — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური
3. ბერიძე ნ. ა. — ასპინძის საშუალო სკოლა
4. გუბსკი გ. ი. — თბილისის 33-ე საშუალო სკოლა
5. გაჩეჩილაძე ე. პ. — გორის მე-6 საშუალო სკოლა
6. თუმანიანი ვ. ა. — თბილისის 116-ე საშუალო სკოლა
7. კაჭარავა ბ. ბ. — აბაშის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლა
8. ვაშაყიძე მ. ვ. — თბილისის 24-ე საშუალო სკოლა
9. მასხელია მ. ა. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
10. შარიქაძე ი. თ. — ორჯონიკიძის რაიონის ლეღვნის საშუალო სკოლა
11. ფიჩხაძე დ. ი. — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა
12. ჩახუნაშვილი რ. ა. — ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა
13. ლოთეშვილი მ. შ. — გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატი
14. კოცგანი დ. ა. — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა
15. სტაროსტინი მ. კ. — ვაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
16. ხარჩილავა თ. თ. — ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს საშუალო სკოლა
17. გრიგოლაშვილი ლ. ა. — გორის მე-2 საშუალო სკოლა
18. ვართანიანი მ. ი. — თბილისის 74-ე საშუალო სკოლა
19. ჩახავა ი. ვ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს II ხარისხის დიპლომით:

1. ოჩიკიძე ლ. ი. — ვანის რაიონის მუქედის 8-წლიანი სკოლა
2. ელიზბერაშვილი გ. ი. — თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლა

- 
3. ფხაკაძე ნ. ე. — ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა
 4. ჩიხლაძე ა. ვ. — გორის რაიონის ტყევიანის საშუალო სკოლა
 5. ნიკოლაიშვილი ა. კ. — სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა
 6. ხუჭუა ვ. ნ. — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა
 7. ფირცხალავა ტ. ა. — ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხაოს საშუალო სკოლა
 8. პეტროსიანი ს. ა. — რუსთავის მე-7 საშუალო სკოლა
 9. ქოქოლაძე ი. ხ. — ხელვაჩაურის რაიონის მახოს საშუალო სკოლა

**დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს სიგელებით
რესპუბლიკის საშუალო სკოლები:**

1. ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა
2. ასპინძის 1-ლი საშუალო სკოლა
3. გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
4. ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს საშუალო სკოლა
5. გორის მე-6 საშუალო სკოლა
6. გორის მე-2 საშუალო სკოლა
7. ვანის რაიონის მუჭედის 8-წლიანი საშუალო სკოლა
8. ორჯონიკიძის რაიონის ლეღენის საშუალო სკოლა
9. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა

**ხაზვის მასწავლებელთა ნაშუავნობის II რესპუბლიკური
გამოფანა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის
შემაღვენლოვა**

1. დარჩია მამია დომენტის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. გვათუა გიორგი ვლადიმერის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (მოადგილე)
3. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის პროფესორი
4. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვის ლექტორი
5. გაჩეჩილაძე ევპიტიდა პიმენის ასული — გორის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი
6. სვანიძე გივი ილიას ძე — თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის ხაზვის მასწავლებელი
7. ერისთავი ნუნუ გიორგის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
8. ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის მეთოდისტი (მდივნი)
9. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
10. ფიჩხაძე დავით იოსების ძე — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელი

1. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის პროფესორი (თავჯდომარე)
2. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ლექტორი (მოადგილე)
3. სვანიძე გივი ილიას ძე — თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის ხაზვის მასწავლებელი
4. ჩახავა იზორდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი (მდივანი)
5. ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე

სარედაქციო საბჭო

1. გრიგოლაშვილი ლუიზა დავითის ასული — გორის მე-2 საშუალო სკოლა
2. სვანიძე გივი ილიას ძე — თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი
3. ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე
4. გაჩეჩილაძე ევპრტიდა პიმენის ასული — გორის მე-6 საშუალო სკოლა
5. ერისთავი ნუნუ გიორგის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ხაზვის მასწავლებელთა II რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ

ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების II რესპუბლიკურ გამოფენა-კონკურსს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების მასწავლებლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ნორჩ მხაზველთა წრის ხელმძღვანელებს.

ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსის ჩატარების მიზანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელება მოითხოვს საბჭოთა სკოლაში ძირფესვიანად გაუმჯობესდეს მოზარდი თაობის აღზრდა, მოზარდი თაობისა, რომელიც ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ლამაზი მომავალია.

ეპოქისათვის დამახასიათებელმა ძლიერმა ტექნიკურმა პროგრესმა დააჩქარა ადამიანში გრაფიკულ კულტურის ამალგების აუცილებლობა. გრაფიკულ კულტურას საფუძველი სკოლაში ეყრება. ამიტომ თითოეული პედაგოგის მოვალეობას შეადგენს ჯერ თვითონ დაეუფლოს ღრმად საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას, ხოლო შემდეგ ასწავლოს. ამ გამოფენა-კონკურსის მიზანიც სწორედ ცოდნის შეძენა, გამოცდილების მიღება და გაზიარებაა.

გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იქნას თვითნაკვეთი თვალსაჩინოებანი ტაბულების, მოდელების, სადემონსტრაციო ნახაზებისა და მოცემულობათა ბარათების სახით. გამოფენის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საუკეთესო მოსწავლეთა მიერ წლის მანძილზე № 11 ფორმატზე შესრულებული ნამუშევრები (ალბომში ჩაკრული).



1. მასწავლებლებს კონკურსზე შეუძლიათ წარმოადგინონ სადემონსტრაციო ნახაზები, რომელიც გამოყენებული იქნება გაკვეთილზე თვალსაჩინოებისათვის. ნახაზი შეიძლება ეხებოდეს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ ნებისმიერ თემას, რომელიც შესრულებული იქნება ნებისმიერი ზომის ფორმატზე (გარდა №11-ისა და №22-სა) ფანქრით ან ტუშით. ნახაზი უნდა გაიკრას ფარზე.
2. მოდელები, რომელიც გამოიყენება თვალსაჩინოებისათვის სხვადასხვა საგანში. მოდელს თანდართული უნდა ქონდეს მოკლე ინსტრუქცია მისი გამოყენების შესახებ. ყოველი მოდელი თავსდება დაფაზე (სტენდი 50 სმ × 60 სმ-ზე ან 80 სმ × 100 სმ-ზე).
3. ხაზვის წრის მუშაობის ამსახველი ფოტოსტენდი (80 სმ × 150 სმ-ზე), რომელსაც თან ექნება დართული წრეში დამზადებული და შესრულებული საუკეთესო ნახაზები და მოდელები.

კონკურსში გამარჯვებული მასწავლებლები დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს I და II ხარისხის დიპლომებით და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სიგელით.

კონკურსის პირობებზე დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება 1978 წლის 1 თებერვლიდან ხაზვის მეთოდურ კაბინეტში პლენხანოვის გამზირი № 178.

განათლების სამინისტროს

1978 წლის 24 იანვრის

ბრძანება № 70



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ

“საკვ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებულ სასკოლო სახელმძღვანელოთა უფასო გაცემის დიდი პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი დიდად შეუწყობს ხელს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების საქმის გაუმჯობესებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ სრულყოფას. ეს ღონისძიება აამაღლებს, აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოების, პედაგოგთა კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობების პასუხისმგებლობას სასწავლო წიგნის იდეურ-თეორიული ღონისა და მისი გამოყენების ეფექტიანობისათვის.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ორგანოებმა და სასწავლო-პედაგოგიურმა გამომცემლობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ დარგში და სკოლები სასწავლო წლის დასაწყისისათვის ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სახელმძღვანელოთა 80 პროცენტი დამტკიცებულია სტაბილურ-სახელმძღვანელოებად; რიგ დისციპლინებში დამთავრდა სასწავლო ლიტერატურების კომპლექტთა დამუშავება და გამოცემა.

ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში სკოლების ბიბლიოთეკათა ფონდებიდან სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობის სფეროში შექმნილია დადებითი გამოცდილება, რასაც ფართოდ დაუჭირეს მხარი პედაგოგთა, მოსწავლეთა კოლექტივებმა და მშრომელთა საზოგადოებრიობამ.

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ბრძანება № 70

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა უნდა აამაღლონ პედაგოგთა კოლექტივებისა და ოჯახის პასუხისმგებლობა სასკოლო სახელმძღვანელოების სწორი, რაციონალური გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალურ საბჭოს დავეალათ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი რათა ყველა მოსწავლეს, პიონერსა და კომკავშირელს უკეთ ჩაუხერგონ სასწავლო წიგნისადმი, როგორც სახელმწიფო ქონებისადმი სათუთი დამოკიდებულება; მოაწყონ შეჯიბრებები, დათვალიერებანი და კონკურსები სახელმძღვანელოთა საუკეთესო შენახვისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა დაამტკიცონ ყველა ტიპის სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით სასკოლო-საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და განახლების პერსპექტიული და წლიური გეგმები: აგრეთვე, განსაზღვრონ თითოეული კლასისა და საგნის სახელმძღვანელოების გამოცემის, დამატებითი ტირაჟების დაბეჭდვის ვადები. ამასთანავე, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად გაითვალისწინონ სასკოლო სახელმძღვანელოებზე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოთხოვნილება.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროები მოვალენი არიან უზრუნველყონ სასკოლო სახელმძღვანელოების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, სრულყოფილი სახელმძღვანელოთა სტრუქტურა და შეამცირონ მათი შოცულობა; გაატარონ ღონისძიებანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სახელმძღვანელოთა სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის გამსახკომს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება ეძლევათ გააუმჯობესონ სასკოლო სა-



სახელმძღვანელოების ხარისხი, სრულყოფილი მხატვრული და პოლიგრაფიული შესრულება; სისტემატურად აამაღლონ სასწავლო პედაგოგიურ გამოცემლობათა თანამშრომლების საქმიანი კვალიფიკაცია, განამტკიცონ ისინი სასკოლო განათლების თანამედროვე შინაარსის მცოდნე სპეციალისტებით. დადგენილებამ დაამტკიცა იმ პოლიგრაფიულ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებანი, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებს უშვებს. ამასთან, გათვალისწინებულია, რომ ყოველწლიურად გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო სახსრები იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის, განახლებისა და გამოყენებისათვის არის საჭირო.

სსრ კავშირის გამსახკომს და მოკავშირე რესპუბლიკების გამსახკომებს უფლება ეძლევათ სახელმძღვანელოთა სასკოლო ფონდების შექმნის შედეგად გამოთავისუფლებული ქაღალდის რესურსები უპირატესად გამოიყენონ სასწავლო-მეთოდოლოგიური, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის გამოცემათა გასადიდებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით 1978 წლის 1 ივლისიდან განათლების სამინისტროებში შექმნიან სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განყოფილება 3-5 მუშაკის რაოდენობით; ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სამხარეო და საოლქო სახალხო განათლების განყოფილებებში შემოღებულ უნდა იქნეს ინსპექტორთა თანამდებობა, ხოლო საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებებთან — მეთოდისტი თანამდებობა. აღნიშნულ დამატებით თანამდებობათა შემოღება მოხდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის დამტკიცებულ შტატთა რიცხობრივი რაოდენობისა და სამმართველო აპარატის შესაბამის ხარჯების საერთო ასიგნობათა ფარგლებში.

ძალაში რჩება ამჟამად მოქმედი წესი, რაც ითვალისწინებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებ-

ლებში სასკოლო სახელმძღვანელოთა მიტანა და განაწილება წარმოებს სსრ კავშირის გამსახკომისა და „ცენტროსოიუზის“ წინი ვაჭრობის ქსელის მეშვეობით სახალხო განათლების ორგანოების განწესების შესაბამისად.

სსრკ ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფს საჭირო სახსრებს იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების შექმნას, განახლება-სა და გამოყენებას უკავშირდება.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ სათანადო პირობები საიმისოდ, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები ორგანიზებულად გადავიდნენ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე ამ დადგენილების შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილებისა და სსრკ განათლების სამინისტროს 1977 წლის 12 დეკემბრის № 162 ბრძანების შესასრულებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მიღებულ იქნეს მტკიცედ სახელმძღვანელოდ.

ამ დადგენილების განსახორციელებლად გატარდეს კონკრეტული ღონისძიებანი.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა გაითვალისწინონ, რომ დასახელებული დადგენილების განხორციელება მკვიდრად არის დაკავშირებული სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან და აქედან გამომდინარე, ფართოდ გაშალონ სკოლებში სათანადო მუშაობა.

2. 1978-1979 სასწავლო წელს სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანილ იქნენ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველი კლასის მოსწავლეები.



3. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) „საქწიგნსა“ და „ცეკავშირთან“ შეთანხმებით შეიმუშაოს წესი მისი სამზადებელი კლასების მოსწავლეთა სათანადო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ.

4. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებამ ამ ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად სათანადო მუშაობა გასწიონ დაწყებითი კლასების ორიგინალური სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისათვის. მკაცრად განსაზღვრონ სახელმძღვანელოთა მოცულობა, მოახდინონ მათი განტიერთვა და დახვეწა სასწავლო პროგრამების შესაბამისად. მათვე, 1978 წლის 10 თებერვლისათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანის გრაფიკი.

5. საეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე, ამხ თ. ჩიტაძე) ყოველწლიურად ბიუჯეტში გაითვალისწინოს აუცილებელი სახსრები იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნას, განახლებასა და სარგებლობასთან. მანვე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოადგინოს წინადადებანი სასკოლო სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საშტატო ერთეულების შესახებ და თანახმად სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 12 დეკემბრის №162 ბრძანების №2 დანართისა, შეიმუშაოს განმარტებანი ბიბლიოთეკარისათვის ან საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე სკოლის სხვა მუშაისათვის დამატებითი ანაზღაურების მიცემის შესახებ.

6. სახელმძღვანელოების განყოფილებამ მიიღოს სათანადო ზომები რსფსრ, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებიდან რესპუბლიკის არაქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების შემოზიდვისა და რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის შესახებ.

7. სახელმძღვანელოების განყოფილებამ და სკოლების სამმართველომ პედაგოგიკის საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტის მეც-



ნიერ მუშაკთა მეშვეობით შეიმუშაოს წინასწარი განრიგი, რომელიც
 შიგ ნაჩვენები იქნება 1979-1980 წლების მიხედვით მოსწავლეთა
 უზრუნველყოფა ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნებით; ეს
 განრიგი განსახილველად წარედგინოს საქართველოს სსრ განათლე-
 ბის სამინისტროს კოლეგიას.

8. სკოლების სამმართველომ პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნი-
 ერო ინსტიტუტსა და სახელმძღვანელოების განყოფილებასთან ერ-
 თად დასახოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი, რათა
 მკაცრად განისაზღვროს სახელმძღვანელოთა ზღვრული მოცულო-
 ბა; სრულყოს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოთა ში-
 ნაარსი; მოახდინოს მათი განტვირთვა გართულებული და მეორე-
 ხარისხოვანი მასალისაგან; უზრუნველყოს პროგრამისა და სახელ-
 მძღვანელო წიგნის სრული თანხმობა.

9. სახელმძღვანელოების განყოფილებამ სკოლების სამმარ-
 თველოსთან (ამხ. გ. ფანჩულიძე) ერთად შეისწავლოს მოწინავე
 სკოლებს გამოცდილება სახელმძღვანელოების მოვლისა და დაც-
 ვის შესახებ; ამ სფეროში სათანადო წესრიგის დამყარების მიზ-
 ნით, შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი და ქმედითი ზომები
 მიიღოს მათი განხორციელებისათვის.

10. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. მ. თი-
 გავა) საქართველოს ალკე ცენტრალურ კომიტეტსა და ვ. ი. ლენი-
 ნის სახელობის პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოს-
 თან შეთანხმებით შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული
 ღონისძიებანი, რათა ყველა მოსწავლეს ღრმად ჩაუნერგონ წიგნი-
 სადმი, როგორც ცოდნის წყაროსადმი სათუთი დამოკიდებულება,
 მოაწყონ შეჯიბრებები, დათვალიერებანი და კონკურსები სახელ-
 მძღვანელოთა საუკეთესო მოვლა-შენახვისათვის.

11. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“, ჟურნალმა „სკოლა და
 ცხოვრებამ“ და დარგობრივმა ჟურნალებმა უზრუნველყონ სათანა-
 დო წერილების ბეჭდვა დასახელებული დადგენილებით გათვალის-
 წინებულ აქტუალურ საკითხებზე.

12. ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი ევალებათ
 სახელმძღვანელოების განყოფილებას (ამხ. ჰ. თუთბერიძე) და სა-
 ხალხო განათლების ინსპექციას (ამხ. კ. სუჯაშვილი).



ГРУЗИНСКАЯ ССР
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ

ПРИКАЗ № 70

24.01. 1978 г.

**О ПЕРЕХОДЕ НА БЕСПЛАТНОЕ ПОЛЬЗОВАНИЕ
УЧЕБНИКАМИ УЧАЩИМИСЯ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ**

Центральный Комитет КПСС и Совет Министров СССР приняли постановление «О переходе на бесплатное пользование учебниками учащимися общеобразовательных школ».

В постановлении отмечено, что предусмотренная новой Конституцией СССР бесплатная выдача учебников имеет большое политическое, социальное и воспитательное значение. Оно будет способствовать улучшению условий осуществления всеобщего обязательного среднего образования, дальнейшему совершенствованию организации учебно-воспитательного процесса. Это мероприятие повысит также ответственность органов народного образования, педагогических коллективов, научных организаций и издательств за идейно-теоретический уровень и эффективность использования учебной книги.

За последние годы органы народного образования и учебно-педагогические издательства нашей страны провели значительную работу в этой области и к началу учебного года школы в основном обеспечены учебниками, 80% учебников утверждены в качестве стабильных; по ряду дисциплин завершена разработка и издание комплектов учебной литературы.

В некоторых союзных республиках сложился положительный опыт бесплатного пользования учебниками из библиотечных фондов школ, что получило широкую поддержку педагогических, ученических коллективов и родительской общественности.

Партийные, советские, профсоюзные и комсомольские организации, органы народного образования должны повысить ответственность педагогических коллективов и семьи

За правильное рациональное использование школьных учебников.




Министерству просвещения СССР, Центральному Комитету ВЛКСМ, Центральному Совету Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина поручено разработать и осуществить конкретные меры по улучшению воспитания у всех учащихся, пионеров и комсомольцев бережного отношения к учебной книге, как к государственному имуществу; проводить соревнования, смотры конкурсы на лучшую сохранность учебников.

Министерство просвещения СССР, Государственный комитет издательства, полиграфии и книжной торговли Совета Министров СССР, Совет Министров союзных республик должны утвердить порядок и сроки перехода всех типов школ на бесплатное обеспечение учебниками учащихся, разработать перспективные и годовые планы создания и обновления школьных библиотечных фондов учебников, а также определить сроки и тиражи издания и допечатки учебников по каждому классу и предмету. При этом наряду со средней общеобразовательной школой предусмотреть потребность в школьных учебниках средних профессионально-технических училищ и средних специальных учебных заведений.

Министерство просвещения СССР, Академия наук СССР, Академия педагогических наук СССР, министерства просвещения (народного образования) союзных республик должны обеспечить повышение идейно-теоретического уровня школьных учебников, совершенствовать структуру и сократить объем учебников; провести мероприятия по обеспечению стабильности учебников по всем предметам учебного плана.

Госкомиздату СССР, Советам Министров союзных республик предлагается улучшить качество школьных учебников, совершенствовать их художественное и полиграфическое исполнение; систематически повышать деловую квалификацию сотрудников учебно-педагогических издательств, укреплять их специалистами, хорошо знающими современ-



ное содержание школьного образования, Постановление утвердило мероприятия по развитию и укреплению материально-технической базы тех полиграфических предприятий, которые выпускают школьные учебники.

При этом предусмотрено ежегодно выделять из государственного бюджета нужные средства для финансирования тех мероприятий, которые необходимы для создания в общеобразовательных школах библиотечных фондов учебников, их обновления и использования.

Госкомиздату СССР и госкомиздатам союзных республик разрешается использовать высвобождающиеся в результате создания школьных фондов учебников ресурсы бумаги преимущественно на увеличение выпуска учебно-методической, художественной и детской литературы.

Советам Министров союзных республик разрешается по согласованию с Министерством просвещения СССР с 1 июля 1978 года организовать в министерствах просвещения (народного образования) союзных республик отделы по библиотечным фондам школьных учебников с числом работников 3—5 человек; в Министерствах просвещения автономных республик, краевых и областных отделах народного образования ввести должность инспектора, а в городских и районных отделах народного образования — должность методиста. Введение указанных дополнительных должностей производится в пределах установленных Советом Министров союзных республик численности работников и расходов на содержание органов государственного управления.

Сохраняется ныне действующий порядок доставки и распределения школьных учебников в общеобразовательные школы, средние профессионально-технические училища и средние специальные учебные заведения через книготорговую сеть Госкомиздата СССР и Центрсоюза по разрядам органов народного образования.

Министерство финансов СССР ежегодно будет выделять необходимые средства из государственного бюджета на фи-

нансирование мероприятий, связанных с содержанием, обновлением и использованием библиотечных фондов учебников в общеобразовательных школах.

Партийные, советские, профсоюзные и комсомольские организации должны подготовить соответствующие условия для того, чтобы учащиеся средних общеобразовательных школ организованно перешли на бесплатное пользование учебниками в соответствии с настоящим постановлением.

Во исполнение указанного постановления Центрального Комитета КПСС, Совета Министров СССР и приказа № 162 Министерства просвещения СССР от 12 декабря 1977 года,

П Р И К А З Ы В А Ю:

1. Постановление Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР «О переходе на бесплатное пользование учебниками учащимися общеобразовательных школ» принять к неуклонному руководству.

Для осуществления указанного постановления провести конкретные мероприятия.

Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики учесть, что осуществление указанного постановления прочно связано с искоренением существующих недостатков в деле сохранности учебников и, исходя из этого, широко развернуть в школах соответствующую работу.

2. В 1978—1979 учебном году на бесплатное пользование учебниками перевести учащихся первых классов общеобразовательных школ республики.

3. Отделу учебников (тов. Г. Тутберидзе), совместно с «Сакцигни» и «Цекавшири» разработать правила об обеспечении соответствующими учебниками учащихся подготовительных классов.

4. Министерству просвещения Абхазской АССР и Отделу народного образования Юго-Осетинской АО в соответствии со 2-ым пунктом данного приказа провести соответствующую

щую работу по улучшению оригинальных учебников для начальных классов. Строго определить объем учебников, разгрузить их в соответствии с учебной программой.

Им же 10 февраля 1978 года представить в Министерство просвещения ГССР график перевода учащихся общеобразовательных школ Абхазской АССР и Юго-Осетинской АО на бесплатное пользование учебниками.

5. Планово-финансовому управлению (т. т. А. Квачадзе, Т. Читадзе) ежегодно в бюджете предусмотреть средства на финансирование тех мероприятий, которые связаны с содержанием, обновлением и использованием библиотечных фондов учебников в общеобразовательных школах. Им же, совместно с Министерством финансов Грузинской ССР, представить предложения о штатных единицах, выделенных для организации библиотечных фондов школьных учебников и согласно приложению № 2 приказа № 162 Министерства просвещения СССР от 12 декабря 1977 года, разработать разъяснение о порядке введения дополнительной оплаты библиотечарю или другому сотруднику школы за работу с библиотечным фондом учебников.

6. Отделу учебников принять соответствующие меры по ввозу необходимых учебников для негрузинских общеобразовательных школ республики из организаций книжной торговли РСФСР, Армянской и Азербайджанской советских социалистических республик и по созданию в негрузинских школах республики библиотечных фондов.

7. Отделу учебников и Управлению школ совместно с сотрудниками научно-исследовательского института педагогики разработать график, в котором будет указано по 1979—1980 годам обеспечение учащихся оригинальными учебными книгами; этот график представить коллегии Министерства просвещения Грузинской ССР для рассмотрения.

8. Управлению школ совместно с НИИ педнаук и отделом учебников наметить и осуществить соответствующие мероприятия с тем, чтобы строго определить объем учебни-

ков; совершенствовать учебные программы и содержание учебников; обеспечить их разгрузку от усложненного и многоуровневого материала, а также полное совпадение материала программы и учебной книги.

9. Отделу учебников совместно с Управлением школ (тов. Г. Панчулидзе) изучить опыт передовых школ по сохранности и бережливому отношению к учебникам; с целью наведения соответствующего порядка в данной сфере разработать конкретные мероприятия и принять действенные меры для их осуществления.

10. Управлению по воспитательной работе (тов. М. Очигава) совместно с Центральным Комитетом ЛКСМ Грузии и Республиканским Советом пионерской организации имени В. И. Ленина разработать и осуществить конкретные мероприятия, чтобы в каждом учащемся воспитать бережное отношение к книге, как источнику знаний; проводить соревнования, смотры и конкурсы на лучшую сохранность учебников.

11. Газете «Сахалхо ганатлеба», журналу «Скола да цховреба» и приложениям к журналу по предметам обеспечить печатание соответствующих статей по актуальным вопросам указанного выше постановления.

12. Контроль за выполнением данного постановления возложить на Отдел учебников (тов. Г. Тутберидзе) и инспекцию народного образования (тов. К. Суджашвили).

Министр — О. КИНКЛАДЗЕ



განათლების სამინისტროს

1978 წლის 24 იანვრის

ბრძანება № 72

საბჭო ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და ურომისათვის მათი მომზადების უმჯობესი სრულყოფის უზრუნველყოფის და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ამოცანები მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად“

სკკპ XXV ყრილობის მითითებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების, საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მზარდი მოთხოვნების შესაბამისად სახალხო განათლების უმჯობესი განვითარების ნათელი პროგრამა მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და ურომისათვის მათი მომზადების სრულყოფის უზრუნველსაყოფად“.

ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტში განვითარებულია ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლის ლენინური პრინციპები, ჩამოყალიბებულია სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომლის განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს სწავლების ხარისხის უმჯობესი უზრუნველყოფა, შრომითი აღზრდისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, საყოველთაო საშუალო განათლების ამოცანების ეფექტური განხორციელება, კომუნისტური საზოგადოების დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებელი თაობის აღზრდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებ-



მა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ი. გომბაზის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებმა და განყოფილებებმა:

1.1. თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების სრულყოფის შესახებ“; შეისწავლონ და ღრმად გაანალიზონ დადგენილების შინაარსი, მასში მოცემული დებულებების შესაბამისად შეიმუშაონ მოქმედების კონკრეტული გეგმა. რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული დადგენილების დროულსა და განუხრელ განხორციელებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებისადმი ქმედითი კონტროლის დაწესებას, ცოდნის, ხარისხის, ამაღლების, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის თანმიმდევრული გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ამაღლებას;

1.2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო განათლების შესახებ სკკპ XXV ყრილობის მითითებებისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების ცხოვრებაში თანმიმდევრულ გატარებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთელი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას, უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით საზოგადოებრივ სასარგებლო, საწარმოო შრომისათვის მათ შეგნებულ მომზადებას;

1.3. მომთხოვნელობის ამაღლების საფუძველზე უზრუნველყონ



თითოეული მასწავლებლის — აღმზრდელის, კლასის, სკოლის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება. მათი მიერული და პროფესიული მომზადების დონის სისტემატიური სრულყოფის შედეგად მიაღწიონ ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის თაობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის სრულფასოვან განხორციელებას;

1.4. კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბების რთული და შრომატევადი ამოცანების ეფექტური განხორციელების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის ძალთა გაერთიანებას, მათი საქმიანობის კოორდინირებას და სწორი პედაგოგიური პრინციპების საფუძველზე წარმართვას.

2. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

2.1. აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროფესიულ-ტექნიკური, სპეციალური საშუალო სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეცხრე კლასების რვაკლასდამთავრებული მოსწავლეებით დაკომპლექტების ერთიანი წლიური და პერსპექტიული გეგმების, როგორც ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმის შემადგენელი ნაწილის, შემუშავებაში, გამომდინარე საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, ადგილებზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილების და თვით მოსწავლეთა მიერ სასწავლებლის არჩევის უფლების გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუალო განათლების განხორციელება; ამ პრობლემის სრულყოფილად გადაჭრის მიზნით უფრო ეფექტურად გამოიყენონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობა;

2.2. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის, სასწავლო საამქროების, სასკოლო სახელოსნოების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და მოსწავ-

ლეთა სხვა შრომითი გაერთიანებების განვითარებისათვის; ამ დონისძიებათა განხორციელება გათვალისწინებულ იქნეს წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში იმ ვარაუდით, რომ ყველა რაიონში და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში 1980 წლისათვის შეიქმნას სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატი, ხოლო ყველა საშუალო სკოლა უზრუნველყოფილი იქნეს სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოებით და მიმდებარე საწარმოთა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბებული შესაბამისი სამეჭროებით;

2.3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი სწავლების სათანადო კვალიფიკაციისა და უნარის მქონე მასწავლებელთა კადრებით სკოლების დაკომპლექტების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიურ დაოსტატების უზრუნველყოფის საკითხებს. შეისწავლონ და წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებანი სასწავლო სამეჭროებში დამრიგებელთა საქმიანობის ეფექტური გამოყენების შესახებ;

2.4. მოსწავლეთა პროფორიენტაციის ორგანიზაციისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გაუმჯობესების მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან სპეციალური კომისიების შექმნაში და მათ შემდგომ საქმიანობაში უნარიანად გამოიყენონ ამ თვალსაზრისით სკოლის, ოჯახის და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობანი.

მომზადონ სათანადო პირობები და 1978 წლის 25 სექტემბრამდე უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდური კაბინეტების მოწყობა;

2.5. განახორციელონ ღონისძიებანი ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა სადგურების და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის სრულყოფისა და მათი საწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ეფექტურად გამოიყენონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები,

2.6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებით კლასებში შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე მოსწავლეებთან კადრებით დაკომპლექტების საქმეს. უზრუნველყონ უმცროსი სწავლის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისა და ფიზიკური განვითარების დონის ამაღლება;

2.7. შეისწავლონ და 1978 წლის 25 აპრილისათვის წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასების და სასკოლო ინტერნატების შექმნის თაობაზე იმ ვარაუდით, რომ სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის და სხვა აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი მუშაობის დაწყება 1978-1979 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან, ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღნიშნული საკითხის მოგვარებას სოფლად და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პრობლემის მოგვარებას;

2.8. გადამჭრელი ზომები მიიღონ ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და აღსაზრდელო საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით.

წარმოადგინონ წინადადებები გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლებისა და მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით 1978-1980 წლებში, კონტიგენტით დაუტვირთავ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების რეორგანიზაციის ხარჯზე სკოლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების ოპტიმალური ქსელის შექმნის შესახებ;

2.9. უზრუნველყონ სკოლების, განათლების ადგილობრივი ორგანოების და მეთოდკაბინეტების დაკომპლექტება საგნობრივი პრინციპის გათვალისწინებით, სათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე მუშაკებით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ როგორც ხელმძღვანელი, ისე რიგითი მუშაკების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების ორგანიზებას, მოსწავლეებელთა და ხელოვნების ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესებას;

2.10. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას. უნარიანად გამოიყე-

ნონ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ახალგაზრდობის სწავლისა და შრომისადმი პასუხისმგებლური შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის;

2.11. განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად. 1978-1979 წლებში მოაგვარონ საშუალო და რვაწლიან სკოლებში მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვების საკითხი;

2.12. 1978 წლის 20 დეკემბრისათვის სკოლების სამმართველოს წარმოდგინონ ანგარიში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების შესრულების თაობაზე.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ.გ. ფანჩულიძე), ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ.გ. საყვარელიძე):

3.1. 1978-1980 წ. წ. განმავლობაში, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ტიპური სასწავლო გეგმის საფუძველზე გადაამუშაონ არსებული სასწავლო გეგმები, სათანადო ცვლილებები შეიტანონ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, სადაც გაითვალისწინონ მათი პოლიტექნიკური, შრომითი და აღზრდელობითი მიპართულების გაძლიერება;

3.2. სსრკ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად მოამზადონ საკითხი და უზრუნველყონ 1979-1980 წლებისათვის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განტვირთვა. ზედმეტად გართულებული და მეორეხარისხოვანი მასალისაგან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გაკვეთილის, როგორც სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის ძირითადი ეფექტურობის ამაღლებას, საშინაო დავალებებით მოსწავლეთა მეტისმეტი გადატვირთვის აღკვეთას;

3.3. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამების საფუძველზე 1979 წლის განმავლობაში უზრუნველყონ უმცროსი, საშუალო და უფროსი კლასების შრომითი აღზრდის პროგრამების გადამუშავება, ორიგინალური სასწავლო პროგრამების შექმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინებით;

3.4. ყოველწლიურად შეიმუშაონ მასწავლებელთა ინვერსია და აგვისტოს ტრადიციული თათბირების ჩატარების გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები;

3.5. 1978 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაონ სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის საკითხებზე მეთოდური ლიტერატურის შექმნისა და გამოცემის პერსპექტიული გეგმა, ამასთანავე, გაითვალისწინონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი ლიტერატურის გადმოქართულება ან თარგმნა;

3.6. შეისწავლონ შრომის მასწავლებელთა კვალიფიკაციური კადრებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფის მდგომარეობა და 1978 წლის ბოლომდე შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფის საკითხებს;

3.7. შესწავლილ იქნეს მოსამზადებელ კლასებში მუშაობის ორგანიზების მდგომარეობა და მიღებულ იქნეს ქმედითი ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

3.8. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებლებისა და ოჯახებისადმი პრაქტიკული დახმარების გაძლიერებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხებს, ამასთან, მოამზადოს და წარმოადგინოს საწარმოში მომუშავე, ოსტატ-დამრიგებელთა პედაგოგიზაციის ღონისძიებათა გეგმა.

4. აღმზრდელი მუშაობის სამმართველომ (ამხ. მ. ოჩიგავა) 1978 წლის 10 აპრილამდე მოამზადოს წინადადებები კულტურის დაწესებულებათა, კინოს, რადიოს, ტელევიზიის, აგრეთვე შემოქმედებითი კავშირების მხრივ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებზე დახმარების გაფართოების შესახებ; დასახელებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან ერთად 1978 წლის 1-ელ ივნისამდე შეიმუშაოს მუშაობის კომპლექსური გეგმა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ (ამხ. ნ. შველიძე) და ქურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (ამხ. გ. საჯაია) რედაქციებმა:

ფართოდ გააშუქონ და ყოველმხრივ გაუწიონ პროპაგანდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინააღმდეგე გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, ადგილებზე აღნიშნული დადგენილების განხორციელების მიზნით ჩატარებული პრაქტიკული და ორგანიზატორული მუშაობის ანალიზს.

6. სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი) განათლების სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებთან ერთად უზრუნველყოს სისტემატური კონტროლი აღნიშნული დადგენილების განუხრელი შესრულებისადმი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომთხოვნელობის ამალლებას განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ სწავლების ხარისხის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და მათი შრომისათვის მომზადების საქმეში.

მინისტრი

ო. ჭინძლაძე

Министерство просвещения

ПРИКАЗ № 72

24. I. 1978 Г.

**ПОСТАНОВЛЕНИЕ ЦК КПСС И СОВЕТА МИНИСТРОВ
СССР ОТ 22 ДЕКАБРЯ 1977 ГОДА «О ДАЛЬНЕЙШЕМ СО-
ВЕРШЕНСТВОВАНИИ ОБУЧЕНИЯ, ВОСПИТАНИЯ УЧА-
ЩИХСЯ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ И ПОДГО-
ТОВКИ ИХ К ТРУДУ» И ЗАДАЧИ МЕСТНЫХ ОРГАНОВ
НАРОДНОГО ОБРАЗОВАНИЯ ПО ОБЕСПЕЧЕНИЮ
ЕГО ВЫПОЛНЕНИЯ**

В постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 декабря 1977 года «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школы и подготовки их к труду» дана четкая программа дальнейшего развития народного образования в соответствии с указаниями XXV съезда партии, положениями новой Конституции СССР, возросшими требованиями общественного производства и научно-технического прогресса.

В этом важнейшем партийном и государственном документе получили развитие ленинские принципы единой, трудовой политехнической школы, сформулирована конкретная программа действий руководящих органов народного образования, осуществление которой должно обеспечить дальнейшее повышение качества обучения, эффективное решение задач трудового воспитания, профориентации учащихся, осуществление всеобщего среднего образования и формирование человека коммунистического общества.

Во исполнение указанного постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР, приказываю:

1. Министерством просвещения Абхазской и Аджарской автономных республик, отделу народного образования Юго-

Осетинской АО, городским и районным отделам народного образования, Научно-исследовательскому институту педагогики им. Я. Гогешавили, Центральному институту усовершенствования учителей, управлениям и отделам Министерства просвещения Грузинской ССР:

1.1. В основу своих действий положить постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 декабря 1977 года «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их к труду»; изучить и глубоко проанализировать содержание постановления и в соответствии с данными в нём положениями разработать конкретный план действий, который обеспечит своевременное и неукоснительное выполнение данного постановления.

Уделить особое внимание установлению действенного контроля за организацией учебно-воспитательного процесса в общеобразовательных школах с целью последовательного повышения качества знаний и улучшения идейно-политического, трудового и нравственного воспитания, повышения ответственности школ и органов народного образования.

1.2. Обратить особое внимание на последовательное претворение в жизнь решений XXV съезда КПСС и положений новой Конституции СССР, повышению эффективности всей работы общеобразовательных школ, коренному улучшению трудового воспитания и профориентации учащейся молодежи, сознательной подготовке к общественно-полезному и производительному труду в зависимости от их возрастных особенностей.

1.3. На основе повышения требовательности обеспечить повышение личной ответственности каждого учителя, воспитателя, классного, школьного руководителя.

В результате систематического совершенствования научной и профессиональной подготовки достичь полноценного осуществления всех требований, вытекающих из решений

Коммунистической партии и Советского правительство по вопросам обучения и воспитания молодежи.

1.4. С целью эффективного решения сложных задач особое внимание уделить формированию человека коммунистического общества, сплочению школы, семьи, общественности, координированию их деятельности на основе правильной реализации педагогических принципов.

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

2.1. Принять активное участие в разработке единых годовых и перспективных планов комплектования профессионально-технических, средних специальных учебных заведений и девятых классов общеобразовательных школ выпускниками восьмых классов, как составной части комплексных планов экономического и социального развития автономных республик, области, городов и районов, исходя из общегосударственных интересов, потребностей в квалифицированных кадрах на местах и с учетом права выбора учебного заведения самими учащимися;

На основании указанного обеспечить осуществление всеобщего среднего образования молодежи. С целью разрешения этой проблемы более эффективно использовать работу вечерней и заочной школ.

2.2. Исходя из местных условий разработать и осуществить мероприятия для развития сети межшкольных, учебно-производственных комбинатов, учебных цехов, школьных мастерских, ученических производственных бригад и других трудовых объединений школьников. Предусмотреть осуществление этих мероприятий в годовых и перспективных планах, с учетом того, чтобы во всех районах и городах республиканского подчинения к 1980 году были созданы межшкольные учебно-производственные комбинаты, а все средние школы, были обеспечены соответственно огнащенными учебными мастерскими и соответствующими цехами, созданных на ба-



зе близлежащих к школе предприятий, колхозов и совхозов.

2.3. Особое внимание уделить вопросам укрепления школ учителями трудового обучения, повышения их квалификации и педагогического мастерства. Изучить и представить конкретные предложения об эффективности использования мастеров производственного обучения в учебных цехах.

2.4. С целью организации работы по профориентации учащихся и содействия трудовому устройству выпускников средней школы принимать активное участие в создании при Исполнительных Комитетах Советов народных депутатов специальных комиссий и в их дальнейшей деятельности умело использовать с этой точки зрения возможности совместной работы школы, семьи и общественности.

Изучить вопрос и до 25 сентября 1978 г. организовать в общеобразовательных средних школах учебно-методические кабинеты по профессиональной ориентации учащихся.

2.5. Осуществить мероприятия по дальнейшему развитию сети станций юных техников, натуралистов и других внешкольных учреждений и укреплению их учебно-материальной базы. Эффективно использовать различные формы участия школьников в общественно-полезном труде.

2.6. Особое внимание уделить делу укомплектования начальных классов кадрами с соответствующим высшим образованием. Обеспечить повышение уровня физического развития и эстетического воспитания учащихся младшего школьного возраста.

2.7. Изучить и к 25 апреля 1978 года представить конкретные предложения о создании школ, классов и пришкольных интернатов продленного дня с тем, чтобы при наличии соответствующей учебно-материальной базы и других необходимых условий стенет возможным начало их работы с 1-го сентября 1978—1979 учебного года, при этом, уделить особое внимание решению указанного вопроса в сельской местности и решению проблемы транспортировки учащихся.

2.8. Принять решающие меры по дальнейшему совер-



шенствованию учебно-воспитательного процесса интернатных учреждений и улучшению бытовых условий воспитанников. Осуществить конкретные мероприятия по дальнейшему укреплению материальной базы данных учреждений.

Представить предложения на 1978—1980 годы по улучшению лечения и обучения детей, имеющих дефект в умственном или физическом развитии, о создании оптимальной сети спецшкол и спецшкол-интернатов за счёт реорганизации общеобразовательных школ-интернатов с неполным контингентом.

2.9. Обеспечить комплектование школ и методических кабинетов местных органов народного образования работниками, имеющими соответствующую квалификацию и опыт работы, особое внимание уделить систематической организации повышения квалификации как руководящих, так и рядовых работников, принять меры к улучшению деятельности институтов усовершенствования учителей.

2.10. Принять меры по дальнейшему развитию ученического самоуправления в школах, умело использовать деятельность пионерских и комсомольских организаций для воспитания ответственности и сознательного отношения к труду и обучению.

2.11. Осуществить необходимые мероприятия по улучшению работы школьных столовых и буфетов. В течение 1978—1983 годов урегулировать вопрос горячего питания для учащихся средних и восьмилетних школ.

2.12. К 20 декабря 1978 г. в Управление школ представить отчет о выполнении постановления Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР от 21 декабря 1977 года.

3. Управлению школ (тов. Г. Панчулидзе), НИИ педагогики им. Я. Гогешвили (Г. А. Сакварелидзе):

3.1. В течение 1979—80 г.г. на основании типового учебного плана Министерства просвещения СССР переработать действующие учебные планы, внести соответствующие изменения в программы и учебники, предусмотрев усиление их

политехнической трудовой и воспитательной направленности.

3.2. В соответствии с указаниями Министерства просвещения СССР подготовить вопрос и к 1979—80 годам обеспечить разгрузку учебных программ и учебников от чрезмерно усложненного и второстепенного материала. Особое внимание уделить повышению эффективности урока, как основной формы обучения и воспитания; запретить чрезмерную перегрузку учащихся домашними заданиями.

3.3. На основании программ, разработанных Министерством просвещения СССР в течение 1979 г. обеспечить переработку программ по трудовому воспитанию для младших, средних и старших классов и создание оригинальных учебных программ с учетом особенностей народного хозяйства республики;

3.4. Ежегодно разрабатывать план проведения традиционных совещаний учителей и соответствующие рекомендации.

3.5. До 1 сентября 1978 года разработать перспективный план издания и выпуска методической литературы по вопросам учебно-воспитательной работы; вместе с тем, предусмотреть перевод соответствующей литературы, изданной Министерством просвещения СССР.

3.6. Изучить состояние обеспечения школ квалифицированными кадрами по трудовому обучению и до конца 1978 года разработать соответствующие мероприятия.

Особое внимание уделить вопросу обеспечения сельских общеобразовательных школ квалифицированными кадрами.

3.7. Изучить вопрос по организации работы в подготовительных классах и принять действенные меры по дальнейшему её улучшению.

3.8. Совместно с Центральным институтом усовершенствования учителей разработать конкретные меры по усилению практической помощи учителям и семьям, особое внимание уделить вопросам трудового воспитания и профессиональной ориентации учащихся, наряду с этим направить и предста-

вить план мероприятий по педагогизации мастера-наставника, работающего на предприятии.

4. Управлению по воспитательной работе (тов. М. Очигава) до 10 апреля 1978 года подготовить предложения о расширении помощи со стороны культурных учреждений, кино, радио, телевидения, а также творческих союзов школам и внешкольным учреждениям. Совместно с названными учреждениями и организациями до 1 июня 1978 года разработать комплексный план работы по улучшению идейно-нравственного воспитания учащихся.

5. Редакция газеты «Сахалхо ганатлеба (тов. Н. Д. Швелидзе) и журналу «Скола да Цховреба» (тов. Г. Саджая):

— Широко осветить и оказать всестороннюю пропаганду постановлению «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их к труду», особое внимание уделить изучению и обобщению передового опыта с целью осуществления указанного постановления на местах, анализу проведенной практической и организационной работы.

6. Инспекции народного образования (тов. К Суджашвили) вместе с управлениями и отделами Министерства просвещения обеспечить систематический контроль по неукоснительному выполнению данного постановления; особое внимание уделить вопросу повышения требовательности местным органам народного образования и руководителям школ в деле улучшения идейно-политического, трудового и нравственного воспитания учащихся и подготовки их к труду

Министр О. КИНКЛАДЗЕ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო და მუსიკალური განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

1978 წლის 24 იანვრის დადგენილება

1978-1979 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა, პროფკავშირის კომიტეტებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სხვა საბავშვო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის ღირსეულად შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადებისათვის აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, რამაც ზედიზედ შეუწყო სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას, სწავლების ხარისხის ამაღლებას, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ სრულყოფას.

სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად 1977 წლის 22 დეკემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXV ყრილობის მი-

თითებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების, საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მზარდი მოთხოვნების შესაბამისად წარმართული სასკოლო განათლება განაპირობებს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, საყოველთაო-საშუალო განათლების შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის — „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“—განუხრელად შესრულების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. გაიშალოს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1978-1979 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით 1978 წელს გაიშალოს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება, როგორც საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ეტაპი, (სოცშეჯიბრის პირობები დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1976 წლის 10 ივნისის დადგენილებით).

3. დამტკიცდეს: — ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის



ავტონომიური რესპუბლიკების, ა/ოლქის, ქ. თბილისის რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები (დანართი 1);

— ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები (დანართი 2).

4. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების დასაჯილდოებლად დაწესდეს:

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სამი გარდამავალი დროშა დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით — 2000 მანეთის ოდენობით;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ოთხი გარდამავალი დროშა, დიპლომით და მეორე ფულადი პრემიით — 1500 მანეთის ოდენობით;

— ქ. თბილისის რაიონებისათვის — საქ. სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით — 2.000 მანეთის ოდენობით.

5. დადგენილ იქნეს, რომ აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში გამოვლენილ იქნეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ამ სკოლების დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფ-

კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომი და ფულადი პრემია, თითოეულს — 200 მანეთის ოდენობით.

ფულადი პრემიები გათვალისწინებულია სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების კაბინეტ-ლაბორატორიების შესავსებად ინვენტარ-მოწყობილობათა შესაძენად.

ხარჯები ზემოხსენებული ფულადი ჯილდოებისათვის გაღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

6. ცნობათ იქნეს მიღებული, რომ რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოდგენილი გამარჯვებული სკოლებიდან ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დაჯილდოვდება საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქ. ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომით.

7. განათლების განყოფილებებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სკოლის მოწინავე მუშაკს აღმასკომის მიერ განყოფილებისათვის გამოყოფილი ფონდიდან გამოუყონ მსუბუქი ავტომანქანა ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

8. დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია (დანართი 3).

8. 1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

8.2. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების დასაჯილდოებლად დააწესონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ჯილდოები.

8.3. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის ავ-

ტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში შექმნან რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები და ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მუშაობაში.

8.4. ორ კვირაში გააცნონ ყველა სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო დაწესებულებების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებს, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის რაიონებს, ქალაქებსა და სკოლებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები და სათანადო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ თვითთულმა რაიონმა, ქალაქმა, სკოლამ, სკოლა-ინტერნატმა და საბავშვო დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და წარმოება-დაწესებულებამ იკისროს კონკრეტული ვალდებულებები ახალი სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად.

8.5. საფუძვლიანად გააანალიზონ 1977-1978 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში გაწეული მუშაობა და ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ახალი, 1978-1979 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად; ყველა ქალაქში, რაიონსა და სკოლაში უზრუნველყონ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა განუხრული შესრულება, ამ საქმეში აქტიურად ჩააბან სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა.

8.6. სოციალისტური ვალდებულებების შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლე-

ბის სამინისტროს 1976 წლის 7 სექტემბრის № 85 ბრძანების „სკოლის საქმიანობის შესახებ“ განხორციელებას.

8.7. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხები პერიოდულად განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების სხდომებზე, ყურადღება მიაქციონ სოციალისტური შეჯიბრების თვალსაჩინოებასა და საჯაროობას.

8.8. 1978-1979 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი (საქალაქო და რაიონული) ვალდებულებები სოცშეჯიბრში გამორწვეული რაიონის (ქალაქის) ჩეხნებით განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს წარუდგინონ ა/წლის 1-ელ მარტამდე.

8.9. ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ადგილებზე დააჯამონ ასს რესპუბლიკებში, ა/ოლქში, ქ. თბილისში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში ა/წლის პირველ ოქტომბრამდე, გამარჯვებულად ცნობილი რაიონი და ქალაქი შესაბამისად დააჯილდოონ მათ მიერ დაწესებული ჯილდოებით ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა ოლქმა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში შემავალმა ქალაქებმა და რაიონებმა შესაბამისად — მათი სკოლები, რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ქალაქებმა და რაიონებმა — სკოლები, ხოლო ეს ქალაქები და რაიონები კი დააჯილდოონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

8. 10. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებმა, ა/ ოლქმა, ქ. თბილისმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებმა და ქალაქებმა სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ მასალები სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე.

9. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ:

ა/ სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად ვადა-
ამუშაოს რაიონის, ქალაქის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ
წარმოსადგენი ცნობების ფორმა, შეიმუშაოს სკოლებისათვის განსა-
ლოგიური ცნობების ფორმა მიმდინარე წლის 1-ლ მაისამდე, და
უზრუნველყოს მათი ადგილებზე დაგზავნა.

ბ/ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს
ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის აღებულ
ვალდებულებთა შესრულების მიმდინარეობას, პერიოდულად მო-
ისმინოს ინფორმაციები ადგილებიდან და საჭიროების შემთხვევა-
ში საკითხი შეიტანოს კოლეგიასა და პრეზიდიუმზე განსახილვე-
ლად;

გ/ 1978 წლის 5 ნოემბრამდე დააჯამოს სოციალისტური შეჯი-
ბრების შედეგები და განსახილველად წარმოუდგინოს განათლების
სამინისტროს კოლეგიას და პროფკავშირის რესპუბლიკური კომი-
ტეტის პრეზიდიუმს.

10. საგვეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბიუ-
ჯეტში გაითვალისწინოს საჭირო თანხები (35. 000 მანეთი) სოცია-
ლისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების
სახალხო განათლების ორგანოების და სკოლების დასაჯილდოებლად
კაბინეტ ლაბორატორიების შესავსებად და ინვენტარ-მოწყობილო-
ბათა შესაძენად.

11. იდეურ-აღმზრდელობითმა სამმართველომ (ამხ. მ. ოჩივაჯა)
მომარაგების სამმართველოსთან ერთად (ამხ. ო. კერესელიძე)
მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე უზრუნველყოს სოცია-
ლისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების
დასაჯილდოებლად გარდამავალი წითელი დროშებისა და დიპლო-
მების დამზადება, ასევე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებუ-
ლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დიპლომების დამზა-
დება.

12. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველი-
ძე) გამოაქვეყნოს გაზეთში ეს დადგენილება და შემდგომში პერი-
ოდულად გააშუქოს სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირე-
ბით რესპუბლიკაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდი-
ნარეობა.



13. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. ფანხულიძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჯოლაძე)

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი

მ. დ. ჭინჭაბაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავჯდომარე

დ. იოსელიანი

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნა-
ნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ
მომზადებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათ-
ვის რესპუბლიკის რაიონებასა და ქალაქებს შორის
სოციალისტური შეჯიბრების

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სკოლების, სკოლა-ინტერნა-
ტების და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად
და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალისტურ შე-
ჯიბრებას ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და
განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ
განათლების სისტემის აფხაზეთის და აჭარის ა/ რესპუბლიკების,
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, ქ. თბილისის
რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და
ქალაქების სახალხო განათლების ორგანოები, დაწესებულებები და
პროფკავშირული კომიტეტები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია სახალხო განათლების
ორგანოების, სკოლების კოლექტივების, პროფკავშირული ორგანი-
ზაციების, საწარმოო კოლექტივებისა და ფართო საზოგადოებრიობის
აქტივიზაცია შრომითი სწავლების, მოსწავლეთა აღზრდისა და პრო-
ფესიული ორიენტაციის საქმეში ეფექტურობისა და ხარისხის ამა-
ღლებისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შექმნე,
საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების შემდგომი
განვითარებისა და სრულყოფისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა
და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ზოგადსაგანმა-
ნათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და
შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“
განუხრელი შესრულების უზრუნველყოფისათვის.



— სახელმწიფო კაბაბანდების ხარჯზე სასკოლო შენობების, სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების აგების გეგმის შესრულება;

— კოლმურნეობების, საწარმოთა და ადგილობრივი დაფინანსების სხვა წყაროების ხარჯზე სასკოლო შენობათა, სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების აგება, საკლასო ოთახების, სპორტული დარბაზების, მოედნების, კვების ბლოკის სათაფსოების მიშენება და კეთილმოწყობა;

— საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონისა და საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება. ახალგაზრდობის ჩაბმა საშუაო განათლების ყველა ფორმაში, დღისა და საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლების IX კლასებში მოსწავლეთა მიღების გეგმის შესრულება;

— გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში, სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა ჩაბმის სახლხო-სამეურნეო გეგმის შესრულება, სკოლებში ტრანსპორტით მოსწავლეთა ყოველდღიური გადაყვანა-გადმრყავნისა და ცხელი კერძებით კვების ორგანიზაცია;

— საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების განვითარებისა და მათში მუშა ახალგაზრდობის ჩაბმა-შენარჩუნების გეგმების შესრულება და მათი მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;

— ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვების სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ჩაბმა;

— მოსწავლეთა სწავლების პირობების გაუმჯობესება, სასწავლო კაბინეტების მოწყობა, სასწავლო-ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოების მასალებით მათი აღჭურვა და სწავლებაში ეფექტური გამოყენება, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო-მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით ბიბლიოთეკების შექმნა, საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა-გაძლიერება.

— მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება.

— მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენ-

ტაციის ორგანიზაცია, სასკოლო სახელოსნოების აღჭურვა, სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ავტოსაქმის შესწავლა, მოსწავლეთა ჩაბმა სხვადასხვა შრომით საქმიანობაში, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობა და დამავრება სახალხო მეურნეობის სფეროში;

— გამაჯანსაღებელი მუშაობის, მოსწავლეთა დასვენების, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ორგანიზაცია ზაფხულის პერიოდში;

— სკოლების პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შესრულება, მასწავლებელთა თვითგანათლება, სასოფლო რაიონებიდან პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მისაღებ უმაღლესდაუმავეთრებელ მასწავლებელთა გაგზავნის ორგანიზება;

სკოლების, სასკოლო-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარება, დაწესებულებების ზამთრისათვის დროულად მომზადება;

— შრომის კანონის დაცვა, სასწავლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა;

— მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა საბინაო კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება, ამ საქმეში პარტიისა და მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეღავათების განუხრელად გატარება;

— სკოლის შენობების მოვლა-პატრონობა და დაცვა. ეზო-გარემოს კეთილმოწყობა.

მორალურ-მატერიალური წახალისების ღონისძიებები

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების დასაჯილდოებლად დაწესებულია:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სამი გარ-



დამავალი წითელი დროშა, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით — 2.000 (ორი ათასი) მანეთის ოდენობით;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ოთხი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომით და მეორე ფულადი პრემიით — 1500 (ათას ხუთასი) მანეთის ოდენობით, ქ. თბილისის რაიონებისათვის.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა დიპლომითა და ფულადი პრემიით 2000 (ორი ათასი) მანეთის ოდენობით ქ. თბილისის რაიონებისათვის.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფონდიდან გამოეყოფა თითო მსუბუქი ავტომანქანა — ინდივიდუალურ პირებზე ნაღდ ანგარიშზე შესასყიდლად;

— სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების წარმოდგენილი მასალების შესაბამისად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების განათლების ორგანოების, სკოლების პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები და სხვა მუშაკები, პროფკავშირული აქტივი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს სკოლებს ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის — სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით ან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით.



სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებსა და პროფკავშირის კომიტეტებს გარდამავალი წითელი დროშები, დიპლომები, საპატიო სიგელები და სხვა ჯილდოები გადაეცემათ საზეიმო ვითარებაში მასწავლებელთა საქალაქო, რაიონულ კონფერენციებზე, აქტივის კრებებზე, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა მიერ.

— აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის განათლების განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა შესაბამის პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები და ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, ქალაქების (აჭარისა და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი), სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების დასაჯილდოებლად დააწესონ განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და დიპლომები.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისა და მასალების წარდგენის წესი

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებენ ასსრ განათლების სამინისტროები, ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის კომიტეტების ერთობლივ სხდომებზე საკითხის განხილვის შემდეგ ყოველი წლის 15 ოქტომბრისათვის მასალებს ადგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში.

სამინისტროსა და რესპუბლიკურ კომიტეტში წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი მასალები:

— სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ;

— ასრ განათლების სამინისტროს, ა/ოლქის, ქ. თბილისის, ქალაქების, რაიონების განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მოხსენებითი ბარათები სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შესახებ (არაუმეტეს 4 ფურცლისა);

— ცნობები რაიონის (ქალაქის) და გამარჯვებული სკოლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე (სპეციალური ფორმების მიხედვით).

— სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქ. სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით ან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებელ პირთა სია.

დაგვიანებით ან უზუსტოდ წარმოდგენილი მასალები განხილული არ იქნება.

დანართი № 2

დამტკიცებულია საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიისა და პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის პრე-
ზიდიუმის 1978 წლის 24 იან-
ვრის დადგენილებით

**ახალი ხასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისა და მუშაო-
ბის პირობების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის ზოგად-
საგანმანათლებლო სკოლებს შორის სოციალისტური
შეჯიბრების პირობები**

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო
საშუალო და რვაწლიანი სკოლები.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების კოლექტივების, პროფკავშირის კომიტეტების, საწარმოო
კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და
ფართო საზოგადოებრიობის აქტივიზაცია სკკპ 25-ე ყრილობის გა-
დაწყვეტილებების შუქზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენი-
ლების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლე-
ბისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი
სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტროს 1976 წლის 7 სექტემბრის № 85 — ბრძანების „სკოლის
საქმიანობის შეფასების შესახებ“ სრულყოფილად განხორციელე-
ბისათვის.

I. სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლები

— სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, კაპიტალური და მიმ-
დინარე რემონტებისა და სარემონტო სამუშაოების დროულად და
ხარისხიანად ჩატარება. სკოლის ზამთრისათვის მზადყოფნა, სანი-
ტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.



— საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულება, სასკოლო-ინტერნატის არსებობა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ორგანიზაცია, ბავშვების ტრანსპორტით მიმოსვლა სკოლაში, ცხელი კერძებით კვების ორგანიზაცია, მეორე ცვლაში მომეცადინე მოსწავლეთა რიცხვის შემცირება, ავადმყოფი ბავშვების ბინაზე მეცადინეობა, სკოლის მიკრორაიონში მცხოვრები ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვების სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ჩაბმა;

— ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების უზრუნველყოფა; რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა მეცხრე კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ დაწესებულებებში ჩაბმა, პროფორიენტაციული მუშაობა; პროფორიენტაციის კაბინეტის ან კუთხის არსებობა.

— სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების, ტექნიკური და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტის აღჭურვა სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მდგომარეობა;

— სკოლის იდეურ-აღმზრდელი მუშაობის მდგომარეობა;

— ოლიმპიადები, შემოქმედებითს კომფერენციებში მხატვრულ თვითშემოქმედებებში, სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებები, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების ეფექტური გამოყენება, ტექნიკური შემოქმედების და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე აყვანილ მოსწავლეთა რაოდენობისა და სამართალდარღვევის ფაქტების სიმცირე, სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობა;

— მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, შრომითი აქტიურობა — მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო და საწარმოო შრომაში, საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზაცია, შეფებითან თანამშრომლობა;

— ფიზიკური და სამხედრო-სპორტული მომზადების დონე და



მასიურობა, მშთ-ს კომპლექსის ნორმების ჩაბარება, მონაწილეობა შეჯიბრებებში, ლაშქრობებსა და სამხედრო-სპორტულ ღონისძიებებში;

— პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტურობა, მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ჩატარებული მუშაობა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტიული გეგმის შესრულება, მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმვა, სოფლის მასწავლებლებისათვის კანონმდებლობით არსებული შეღავათების უზრუნველყოფა;

— მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ინტერესების დაცვის საქმეში ჩატარებული მუშაობა, სამედიცინო შემოწმების განხორციელება, ზანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების დაცვა, უბედური შემთხვევების აცილების მიზნით მიღებული ზომების გატარება, მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა, სკოლის როლი რაიონში, როგორც ბავშვთა აღზრდის მათორგანიზებელი ცენტრი;

II. მორალურ-მატერიალური წახალისების ღონისძიებები

ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალი დროშა — დიპლომი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაჯილდოებლად დაწესებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომი და ფულადი პრემია 200 (ორასი) მანეთი, (ქალაქებიდან და რაიონებიდან

თითო სკოლა — აჭარის, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ქ. თბილისის რაიონებისა და ქალაქების ჩათვლით).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს საქ. კპ. ცკ-ის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქ. ალკვ ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები, საპატიო სიგელები გადაეცემათ საზეიმო ვითარებაში სკოლის კოლექტივთა საერთო კრებებზე საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სკოლებზე მიცემული ფულადი პრემიები მოხმარდება სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

III. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, შედეგების შეჯამებისა და მასალების წარდგენის წესი

ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა აღება და წინა სასწავლო წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდება ყოველწლიურად სექტემბრის თვეში გასული სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში გაწეული მუშაობის მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა აღება და წინა სასწავლო წლის ვალდებულებათა შესრულების შედეგები განხილული იქნეს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საერთო კრებაზე.

მასალები სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგებზე და ახალი სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებები წარდგენილ უნდა იქნეს განათლების განყოფილებებსა და პროფკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში ყოველი წლის სექტემბრის ბოლომდე.

განათლების განყოფილებები და პროფკავშირის კომიტეტები 10 ოქტომბრამდე განათლების საბჭოებისა და შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტების ერთობლივ სხდომებზე, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი კოლეგიებისა და პროფკავშირის კომიტეტების ერთობლივ სხდომებზე იხილვენ სკოლებს შორის ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადე-



ბისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მასალებს და მოაქვთ დადგენილება ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ ზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის ადგილებზე წასახალისებლად და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (რაიონში, ქალაქში თითო სკოლა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომით დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ.

განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა 15 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინონ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დასაჯილდოებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ დახასიათება, ცნობა შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ (სპეციალური ფორმით) და აღმასკომის გადაწყვეტილება. დაგვიანებით ან უზუსტოდ წარმოდგენილი მასალები განხილულ არ იქნება.

დამტკიცებულია საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიისა და პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის პრე-
ზიდიუმის 1978 წლის 24 იან-
ვრის დადგენილებით

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა:

- ო. დ. ქიქლაძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი (კომისიის თავჯდომარე)
- დ. მ. იოსელიანი — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავჯდომარე (კომისიის თავჯდომარის მოადგილე)
- დ. შ. კაციტაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორი (კომისიის მდივანი)
- გ. ვ. ფანჩულიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
- გ. ვ. ვარდოსანიძე — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი
- ა. ს. ყორჟოლაძე — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე
- ლ. თ. ჩიქვანია — ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე
- ა. თ. კვაჭაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი
- ნ. დ. შველიძე — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი
- კ. ა. სუჯაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის უფროსი
- თ. ა. ნიკოლაიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსი

გ. ლ. გუჭეჯიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სალამოს სკოლების სამმართველოს უფროსი

გ. პ. საჯაია — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი

მ. დ. დარჩია — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი

მ. ი. თჩიგავა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იდეურ-აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსი

გ. კ. აბდუშელიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი

ო. კერესელიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველოს უფროსი.

28 იანვარი, 1978 წ.

ი ნ ს ტ რ უ ჯ ც ი ა

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების ერთიანი წესის დადგენის მიზნით სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს ევალებათ იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადება, გაცემა და ანგარიშგება

1. საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობისა და მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტები, იბეჭდება მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეკვეთით, ერთიანი რიგითი ნუმერაციით.

2. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დაკრგვა — გატაცების თავიდან ასაცილებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გამოყოფილი სპეციალური პირი სისტემატურ კონტროლს ახორციელებს საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ბეჭვდასა, დაბეჭდილი ატესტატებისა და მოწმობების სათანადოდ დაცულ ადგილას შენახვასა და მათ მიღება-გაცემაზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან საშუალო

განათლების ატესტატებსა და რვაწლიანი განათლების მოწმობებს ანგარიშქვეშ ღებულობენ მხოლოდ ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილება. რაიონისა და ქალაქის განათლებებს განყოფილებები კი—სკოლებიდან წარმოდგენილი რვაკლასდამთავრებულთა სიებისა და საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების ოქმების საფუძველზე შედგენილი განაცხადის (დანართი № 1) მიხედვით.

აქრძალულია ატესტატებისა და მოწმობების მისაღებად მინდობილობის მიცემა იმ პირობებზე, რომლებიც სახალხო განათლების სისტემაში არ მუშაობენ.

4. ასს განათლების სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ა/ო განათლების განყოფილება საშუალო განათლების ატესტატებსა და რვაწლიანი განათლების მოწმობებს აძლევენ კურსდამთავრებულთა მიხედვით რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს, ხოლო რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს, ხოლო რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები ატესტატებსა და მოწმობებს აძლევენ კურსდამთავრებულთა მიხედვით სკოლებს. მოწმობა-ატესტატებს ღებულობს სკოლის დირექტორი.

5. ასს განათლების სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ა/ო რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები და სკოლები საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ბლანკებს, როგორც მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტებს, რეგისტრაციაში ატარებენ საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ბლანკების აღრიცხვის წიგნებში (დანართი № 2 და № 3).

6. შევსებული საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები რეგისტრაციაში ტარდება საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების გაცემის წიგნებში (დანართი № 2, № 3, № 4 და № 5), აგრეთვე ყველა დოკუმენტი (შემოსავალ-გასავლის დანართები, მინდობილობები და ხელნაწერები, რომელთა საფუძველზე მიღებული ან გაცემულია საშუალო განათლების ატესტატები, რვაწლიანი განათლების მოწმობები) ინახება, როგორც ფულადი დოკუმენტები, ცეცხლგამძლე ყუთში და სახალხო განათლების განყოფილების ან სკოლის ხელმძღვანელთა შეცვლისას აქტივ ბარდება ახალ ხელმძღვანელს.

აქტში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული მოწმობა — ატესტატებისა და ანგარიშგების მდგომარეობა.

8. შეუვსებელი საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დაკარგვის შემთხვევაში ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებები და სკოლები დაუყოვნებლივ აცნობებენ ამის შესახებ განათლების შემდგომ და მილიციის ადგილობრივ ორგანოებს, დაკარგული მოწმობა-ატესტატების ნომრების ჩვენებით და დაწვრილებითი აღწერით, თუ რა პირობებში მოხდა მოწმობა-ატესტატების დაკარგვა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში აქვეყნებს დაკარგული და გაუქმებული მოწმობა-ატესტატების ნომრებს.

9. საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები გამოცდების დამთავრებისთანავე ივსება და სათანადოდ ფორმდება ყველა კურსდამთავრებულზე, ტარდება საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების გაცემის წიგნებში და ეძლევათ კურსდამთავრებულებს.

რამე მიზეზის გამო კურსდამთავრებულზე გაუცემელი ატესტატი თუ მოწმობა მოთხოვნამდე უნდა ინახებოდეს იმავე სკოლაში ამ ინსტრუქციის მე-7 პარაგრაფის მიხედვით.

შენიშვნა: შეუვსებელი საშუალო განათლების ატესტატი და რვაწლიანი განათლების მოწმობა არ უნდა ინახებოდეს არც განათლების განყოფილებაში და არც სკოლაში.

10. საშუალო განათლების ატესტატებსა და რვაწლიანი განათლების მოწმობებს ავსებს სკოლა. საშუალო განათლების ატესტატისა და რვაწლიანი განათლების მოწმობის (ორივე მხარე ქართული და რუსული) უნდა შეივსოს ყველა კურსდამთავრებულზე სუფთად, გარკვეული ხელით და მხოლოდ შავი ტუშით.

11. რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოწმობა-ატესტატებში კურსდამთავრებულთა სახელი, მამის სახელი და გვარი იწერება სრულად მხოლოდ დაბადების მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე; ამავე დოკუმენტების მიხედვით მათში შეიტანება აგრეთვე კურსდამთავრებულთა დაბადების ადგილი და თარიღი.



12. მოწმობა-ატესტატებში გარკვეულად უნდა იქნეს ნაჩვენებ-
 ბი სკოლის ტიპი (რვაწლიანი, საშუალო, სალამოს (ცვლის) დაწესებულება
 წრებელი), ნომერი და ადგილმდებარეობა (დანართი № 6).

13. მოწმობა-ატესტატებში სწავლების ენა იწერება მშობლიუ-
 რი ენისა და ლიტერატურის გრაფაში, შეფასება კი — ციფრითა
 და ფრჩხილებში სიტყვით.

14. მოწმობა-ატესტატებში რომელიმე გრაფის გამოტოვება,
 ამოფხეკა ან შესწორების შეტანა დაუშვებელია. თუ საგანი არ ის-
 წავლება, მის გასწვრივ ჩაიწერება — „არ უსწავლია.“, იმ მოსწავ-
 ლეებს, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ ფიზიკური კულტუ-
 რისა და შრომითი სწავლების მეცადინეობიდან ჯანმრთელობის
 მდგომარეობის გამო, სათანადო გრაფაში აღენიშნებათ — „გათავი-
 სუფლებულია“.

15. რვაწლიანი განათლების შევსებულ მოწმობას ხელს აწერენ
 სკოლის დირექტორი და მერვე კლასში მომუშავე სამი მასწავლე-
 ბელი, საშუალო განათლების ატესტატს კი — დირექტორი, დირექ-
 ტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში
 და გამოსაშვები კლასის არანაკლები სამი მასწავლებლისა.

16. მოწმობა-ატესტატები მოწმდება დოკუმენტის გამცემი
 სკოლის დადგენილი ნიმუშის გერბიანი ბეჭდით, რომელიც გარკვე-
 ულად და ადვილად უნდა იკრთხებოდეს.

17. მე-10-16 მუხლებში ჩამოთვლილ მოთხოვნათა შეუსრულე-
 ბლობის შემთხვევაში მოწმობა-ატესტატები ითვლება არაკანონიე-
 რად.

18. რვაწლიანი განათლების მოწმობის ან საშუალო განათლე-
 ბის ატესტატის შევსების დროს შეცდომის დაშვების ან რაიმე მი-
 ზღვრით მათი გაფუჭების შემთხვევაში ვაიცემა სამაგიერო, რომლის
 მისაღებად განათლების სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქ-
 ნეს:

1. განათლების განყოფილების შუამდგომლობა (დანართი № 7).
2. სკოლის მიერ შედგენილი აქტი (დანართი № 8).
3. შესაცვლელი ატესტატი ან მოწმობა.

შენიშვნა: გვარის შეცვლის გამო განათლების დოკუმენტი არ იცვლება; ასეთ შემთხვევაში განათლების დოკუმენტს თან დართვის გვარის შეცვლის დამადასტურებელი ცნობა.

